EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი

დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 29 დეკემბრის N49/01-01 ბრძანებით

განახლებულია უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 20 მარტის N02/01-01 ბრძანებით

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“ **(შემდგომში – წესი)** განსაზღვრავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში **(შემდგომში – უნივერსიტეტი)** საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესს, პროგრამაზე მიღების საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა სამართლებრივ სტატუსსა და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შემუშავების წესი

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – საგანმანათლებლო პროგრამა) არის ბაკალავრიატისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისგან დამოუკიდებელი, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შემუშავების პროცედურაც დგინდება ამ წესით.

2. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე და მოიცავს 60 კრედიტს;

3. საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად;

4. დადგენილი წესით პროგრამის შემუშავებისა და ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი;

6. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება ხორციელდება მისი მიღებისთვის

დადგენილი წესის შესაბამისად;

7. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მინიჭება და ამ პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად;

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველი

1. **საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:**

   ა) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან სახელოვნებო/სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების ფლობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

   ბ) მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საგნის გამოცდის ჩაბარება;

   გ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება;

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნივერსიტეტის რექტორის აქტით დადგენილ ვადებში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

   ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის ან სახელოვნებო/სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

   ბ) უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ფოტოსურათი 3X4 ფორმატის - ელექტრონული ვერსია;

ვ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სხვა დოკუმენტაცია;

მუხლი 5. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა

1. საგნის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, პირი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით მიმართავს უნივერსიტეტს და წარადგენს ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას;
2. უნივერსიტეტი პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს ოფიციალურ ვებ-გვერდზე დოკუმენტაციის მიღების დაწყებამდე ერთი თვით ადრე;
3. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს საგამოცდო თემატიკას და აქვეყნებს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი ან წერითი ფორმით;
4. უნივერსიტეტის რექტორის აქტით იქმნება საგამოცდო კომისია;

მუხლი 6. რანჟირების დოკუმენტი

1. უნივერსიტეტი, მის მიერ განსაზღვრული გამოცდის საბოლოო შედეგების დაინტერესებულ მხარეთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის შემდეგ, ქმნის რანჟირების დოკუმენტს;
2. რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის პირი, რომელმაც წარმატებით

ჩააბარა საგნის გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა;

3. რანჟირების დოკუმენტი იქმნება საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უნივერსიტეტის განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული საბოლოო (რანჟირებული) ქულის შესაბამისად;

4. საბოლოო ქულა გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) კონკურსანტს შეფასების ქულა ეწერება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული ხუთი კრიტერიუმის მიხედვით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა და კოეფიციენტი;

ბ) კრიტერიუმებისთვის მინიჭებულ მაქსიმალურ ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას. დადებით შეფასებად ჩაითვლება 100-დან არანაკლებ 51 ქულით შეფასება, ამასთან კონკურსანტმა თითოეულ კრიტერიუმში უნდა მიიღოს ამ კრიტერიუმისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის არანაკლებ 40%;

გ) თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შემდეგი ქულა და კოეფიციენტი:

გ.ა) შერჩეული სფეროს ცოდნა – 30 ქულა (კოეფიციენტი 40);

გ.ბ) მოტივაცია – 15 ქულა (კოეფიციენტი 10);

გ.გ) სასწავლო პროცესის დაგეგმვა – 20 ქულა (კოეფიციენტი 20);

გ.დ) კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა (კოეფიციენტი 10);

გ.ე) აკადემიური/პროფესიული მიღწევა – 20 ქულა (კოეფიციენტი 20);

დ) თითოეულ კრიტერიუმში მიღებული ქულა იყოფა მისთვის მინიჭებულ მაქსიმალურ ქულაზე და მრავლდება მის შესაბამის კოეფიციენტზე. ამ წესით დათვლილი თითოეულ კომპონენტში მიღებული ქულა ჯამდება და მიიღება კონკურსანტის საბოლოო (რანჟირებული) ქულა;

5. თუ რანჟირების დოკუმენტის შექმნის პროცესში აღმოჩნდება, რომ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ პირს, უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების დამატების თაობაზე;

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთან უნივერსიტეტი აფორმებს ხელშეკრულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ;
3. უნივერსიტეტის რექტორი საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ ადგენს ერთიან აქტს, რომელიც იმავე წლის 5 ოქტომბრამდე იგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში;
4. რექტორის ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგაც პროგრამაზე ჩარიცხული პირი მოიპოვებს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლებას;
5. უნივერსიტეტსა და პროგრამაზე ჩარიცხულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები და პირის უფლება-მოვალეობები წესრიგდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

მუხლი 8. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ სტუდენტის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 9. დამატებითი სემესტრი და კრედიტი

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ დამატებით სემესტრში და დამატებითი კრედიტის რეგისტრაციის საკითხი რეგულირდება უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“;

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის დატვირთვა და მისი მიღწევების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის საქმიანობა (დატვირთვა) არის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში. უნივერსიტეტში ერთი კრედიტი მოიცავს პირის სასწავლო საქმიანობას (დატვირთვას) 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში, რომელიც აერთიანებს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათებს;

3. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის (როგორიცაა კონცენტრაცია, მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა და სხვ.). სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი;

4. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად;

5. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ კრედიტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;

6. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია;

7. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიღწევების შეფასება ხორციელდება შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე;

8. შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ

საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე;

9. შუალედური და დასკვნითი გამოცდის ქულების რაოდენობა დგინდება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის 40 ქულაზე მეტითა და 30 ქულაზე ნაკლებით შეფასება;

10. შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი უფლებამოსილია, შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში;

11. შუალედური გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს აქვს აღდგენის უფლება. არასაპატიო მიზეზით შუალედური გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, პირს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მისი აღდგენის თხოვნით, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მას ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს არასაპატიო მიზეზით გაცდენილი შუალედური გამოცდის აღდგენის საფასური 50 ლარის ოდენობით;

12. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს, რომელსაც შუალედურ შეფასებაში მაქსიმალური 70 ქულის შემთხვევაში, უგროვდება არანაკლებ 26 ქულისა, ხოლო მაქსიმალური 60 ქულის შემთხვევაში – არანაკლებ 21 ქულისა, თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (სასწავლო კურსის სილაბუსით, შესაძლოა, შუალედური შეფასების ფორმაში/ფორმებში დადგენილი იყოს

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი);

13. დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა პირმა მაქსიმალური შეფასების 30 ქულის შემთხვევაში, უნდა დააგროვოს არანაკლებ 15 ქულისა, ხოლო მაქსიმალური 40 ქულის შემთხვევაში – არანაკლებ 20 ქულისა. თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირი შესაბამის კომპონენტში ფასდება 0 ქულით;

14. დასკვნითი გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა, გარდა დარგის/სასწავლო კურსის სპეციფიკით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი დამატებით შეიძლება იყოს კომბინირებული და შეიცავდეს წერით და ზეპირ კომპონენტებს. ასეთ შემთხვევაში, გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი თითოეულ კომპონენტში მიიღებს ამ კომპონენტისთვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს, თუ საგანმანათლებლო პროგრამით/კურსის სილაბუსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

15. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ამ მუხლის 16-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;

16. საუნივერსიტეტო შეფასების სისტემა ითვალისწინებს: ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

    (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

    (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

    (C) კარგი – 71-80 ქულა;

    (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

    (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

    ბ) **ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

    (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა

დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

17. ამ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი „(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“ შეფასების მიღების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. ძირითადი გამოცდის შედეგების გამოცხადებასა და დამატებითი გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა;
18. პირის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;
19. უნივერსიტეტში შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება ცენტრალიზებული სისტემით, „საგამოცდო ცენტრის დებულებისა“ და ,,გამოცდების ჩატარების წესის“ თანახმად;
20. მიღებული შეფასების აპელაციის პროცედურები განისაზღვრება ,,გამოცდის ჩატარების წესით’’;

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება გულისხმობს უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება- მოვალეობების შესრულებისგან დროებით, სტატუსის შეჩერების ვადით განთავისუფლებას საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

დ) პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას სასწავლო პროცესში და დადასტურებულია დოკუმენტურად;

ე)ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;

ვ) მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა გარემოებები;

3. სტატუსის შეჩერების მოთხოვნით პირმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას;
4. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რაც საფუძვლად დაედო პირის სტატუსის შეჩერებას, იგი უფლებამოსილია, პირადი განცხადებით აღიდგინოს სტატუსი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პირობებით სემესტრის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში;
6. პირის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომელიც გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში მის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ;

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტა

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა

კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.“

გ) უნივერსიტეტისთვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რამაც გავლენა იქონია პირის პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

დ) უნივერსიტეტის ქცევის (ეთიკის) კოდექსით დადგენილი უხეში დარღვევა;

ე) სწავლების ხანგრძლივობის დამატებითი ვადის გასვლა პროგრამის დასრულების გარეშე – აკადემიური ჩამორჩენა;

ვ) გარდაცვალება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება;

1[1]. იმ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1-ელი მარტის მდგომარეობით, ამ წესის მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2024 წლის პირველი მარტიდან.

2. სტატუსის შეწყვეტა იმავდროულად გულისხმობს საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტას;

3. სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, პირს გადახდილი სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება;

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომელიც გამოცემიდან 5 დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

5. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 20 მარტის N02/01-01 ბრძანებით

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემა

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ შესაბამისი

ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესახებ;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ პროგრამის დასრულების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც მის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას კურსდამთავრებულისთვის მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მომზადებისა და გაცემის შესახებ;
3. სერტიფიკატს თან ერთვის სერტიფიკატის დანართი. უნივერსიტეტი სერტიფიკატსა და მის დანართს ავსებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის №142/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესისა“ და უნივერსიტეტის „მკაცრი აღრიცხვის ფორმის (დიპლომის, მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის) გამოყენების, აღრიცხვა- ანგარიშგებისა და გაცემის წესის“ შესაბამისად;
4. სერტიფიკატი და მისი დანართი ივსება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
5. იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გამოსაყენებლად უვარგისია უნივერსიტეტის მიერ პირის სახელზე გაიცემა სერტიფიკატის დუბლიკატი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ წესით, რეგულირდება უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
2. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
3. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანასა და მის ძალადაკარგულად გამოცხადებაზე უფლებამოსილია უნივერსიტეტის რექტორი;